ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4389917

ნომერი: AR1662006

თარიღი : 15.02.2019

გაცემის თარიღი : 26.02.2019

გაცნობის თარიღი : 26.02.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. უზნაძე , N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ჯოხაძე პ/ნ 18001022138
- ფანასკერტელ-ციციშვილის 6, ბ 195

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლევან სიამაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ბეტა ჯგუფი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405171996
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი ჯოხაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 18001022138

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 4137535
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 27.08.2018

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს №4137535 ბრძანებაში დემონტაჟის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახუს 2018 წლის 27 აგვისტოს №4137535 ბრძანებით მშეთანხმდა ქ. თბილისში, დ. უზნაძის ქ. N14-ში არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის პროექტი და გაიცა ნებართვა. დემონტაჟის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 27 თებერვლის ჩათვლით.

2019 წლის 15 თებერვლის AR 1662006 განცხადებით სამსახურს მომართა მოქ. გიორგი ჯოხაძემ და მოითხოვა სადემონტაჟო სამუშაოების ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2018 წლის 27 აგვისტოს №4137535 ბრძანებაში სამუშაოების დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელება.

სამსახურმა საკითხის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 27 აგვისტოს №4137535 ბრძანებაში, კერძოდ, ჩანაწერი " დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 27 თებერვლის ჩათვლით", შეიცვალოს ჩანაწერით " დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 26 აპრილის ჩათვლით";
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 27 აგვისტოს №4137535 ბრძანებასთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.